

849/109-42

### **ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა #1144926-9069726**

ვის: საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ შპს 'ცეკური' ს/კ 209442174 (შემდგომში პრინციპალმა), შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ჟინვალ-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზის კმ 45-კმ 106 მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობის აღდგენის დროებითი პრევენციული ღონისძიების სამუშაოების შესრულების ვალდებულება, წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ სს თიბისი ბანკი (მის: საქართველო, ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქ. #7) (შემდგომში „გარანტი“), თანხმა ვართ, გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე საერთო თანხაზე 25,000.00 (ოცდახუთი ათასი) ლარი უპირობოდ (რაც გულისხმობს, რომ საგარანტიო თანხის ანაზღაურების შესახებ ბენეფიციარის წერილობით მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევა, მოთხოვნისა და/ან მოთხოვნილი თანხის ყოველგვარი დასაბუთების და ყველანაირი დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენის ვალდებულების გარეშე) და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე (არაუგვიანეს 10 საბანკო დღისა), თქვენს მოთხოვნაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის თაობაზე მითითების საფუძველზე, თქვენი მხრიდან მოთხოვნის ან მოთხოვნილი თანხის დასაბუთების საჭიროების გარეშე.

წერილობითი მოთხოვნა წარდგენილ უნდა იქნეს ს.ს. "თიბისი ბანკი"ს მარჯანიშვილის ფილიალის კანცელარიაში სამუშაო საათებში.

წინამდებარე გარანტია ძალაშია: 30.10.2017-ის ჩათვლით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნებისმიერი მოთხოვნა ან პრეტენზია ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს საბანკო გარანტიის ვადის გასვლამდე, გარანტის ზემოთ მითითებულ მისამართზე.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება:

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით;
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობითი უარის თქმითა და საბანკო გარანტიის ორიგინალის გარანტისათვის დაბრუნებით;
- გარანტის მიერ საგარანტიო თანხის ბენეფიციარისთვის სრულად გადახდით.

წინამდებარე გარანტიაზე მოქმედებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

საბანკო გარანტიის თაობაზე წამოჭრილი ყველა დავის გადაწყვეტა მოხდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ს.ს. "თიბისი ბანკის" წარმომადგენელი გროგო დარჯანიშვილი

18.07.2017

თბილისი, მარჯანიშვილის ქ. #7

